თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 6

ქ. თერჯოლა 1 აგვისტო 2023 წელი

**სხდომას უძღვებოდა:** კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. ბიძინა ბუცხრიკიძე, 3. კობა კაცაძე, 4. შალვა ჭანკვეტაძე, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. მერაბი ბასილაძე, 7. ფრიდონ გვენეტაძე.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. ჯემალ ისაკაძე, 3. ივანე ჩუბინიძე, 4. როლანდი მესხი.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 7
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (შპს ,,მზეკაბანი 2007" -სთვის მიქირავებული არასაცხოვრებელი ფართის ქირის თანხის რაოდენობა განისაზღვროს 1 მ² 7 (შვიდი) ლარის ოდენობით (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282321261, 31.07.2023 წ.).
მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა შპს ,,მზეკაბანი 2007"-მა, რომელიც ითხოვს ქირის ტანხის შემცირებას. ქირის საფასური განსაზღვრულია 15 ლარის ოდენობით 1 მ², შესაბამისად სკოლა იხდის ყოველწლიურად 12 9555 ლარს. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ხელმისაწვდომობის და სრულფასოვანი განათლების მირების ხელშეწყობის მიზნით მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქირის თანხის რაოდენობა განისაზღვროს 1 მ² 7 ლარის ოდენობით და შესაბამისად წლიური თანხა განისაზღვრება 6045.9 ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი  თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (შპს ,,მზეკაბანი 2007" -სთვის მიქირავებული არასაცხოვრებელი ფართის ქირის თანხის რაოდენობა განისაზღვროს 1 მ$^2$ 7 (შვიდი) ლარის ოდენობით (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282321261, 31.07.2023).

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე